სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 385

(ოქმი № 356)

თბილისი 2017 წლის 14 ივლისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 10.07.2017წ. #2877/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 (ოქმი №68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ცვლილება შევიდეს დებულების მე-3 პუნქტის (მაუწყებლის სტრუქტურა) 3.1. ქვეპუნქტში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ნაწილში და ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

- ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:
- ცენტრალური მართვის აპარატი;
  - ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ჯგუფი;
  - ✓ მედია პროდუქციის წარმოების ჯგუფი;
- ანალიტიკური სამსახური"

ბ) ცვლილება შევიდეს დებულების მე-3 პუნქტის (მაუწყებლის სტრუქტურა) 3.1. ქვეპუნქტში მედიისა და კომუნიკაციის ბლოკის ნაწილში და ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

- მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიისა და კომუნიკაციის დირექტორი. მედიისა და კომუნიკაციის ბლოკში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:
- დაგეგმვისა და პროგრამირების სამსახური;
- მზა პროდუქციის შესყიდვის და თარგმნა/გახმოვანების სამსახური;
- მარკეტინგის სამსახური;
- ონლაინ მედიის სამსახური"

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის 2017 წლის 17 ივლისიდან.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის და მედიისა და კომუნიკაციის ბლოკის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება (1 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი